თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

**საცხოვრებელი კორპუსი ნესტან და კირა კვეიძეების სახლის ნანგრევებზე**

როგორ ნადგურდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები



იხილეთ მე-3 გვერდზე

**8 წელია, ქუთაისში სახელმწიფო ფართს კერძო პირი უკანონოდ აქირავებს**



იხილეთ მე-2 გვერდზე

№ 31 (681) 11 - 17 ნოემბერი, 2013 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# „გოჩა-ნოსტრას“ წილები და კორუფციული გარიგებები ქუთაისში

## შეასრულებს თუ არა დანაპირებს გოჩა თევდორაძე და დაარიგებს თუ არა კუთვნილ ქონებას?

**რატომ უკავშირებენ „იბერიის ვარსკვლავის“ ახალ ბაზრობას ისევ გოჩა თევდორაძის სახელს?**

ბიზნესწილები და კორუფციული გარიგებები — ეს არის თემა, რის გამოც იმერეთის ყოფილი ვიცე-გუბერნატორები გოჩა თევდორაძე და გიგა შუშანია გასულ კვრაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

ვითარება მას შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირზე, უნივერმაღის გვერდით მდებარე ტერიტორიაზე გარემოვაჭრეებისთვის ახალი ბაზრობა კეთდებაო. აღნიშნული ტერიტორია შპს „იბერიის ვარსკვლავის“ მფლობელს, დავით კოსტავას ეკუთვნის. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ „იბერიის ვარსკვლავის“ 25%, ოფიციალურად, ხვიჩა ღონღაძეს ეკუთვნის, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის გოჩა თევდორაძის ცოლისძმაა, თუმცა, არაოფიციალურად, როგორც ამბობენ, წილის რეალური მფლობელი გოჩა თევდორაძეა.

**იმ საკითხზე, აქვს თუ არა წილი გოჩა თევდორაძეს უნივერმაღის გვერდით მდებარე ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად გარემოვაჭრეები სხედან, „იბერიის ვარსკვლავის“ მფლობელს, დავით კოსტავას ტელეფონით ვესაუბრეთ.**

**— ბატონო დავით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული ტერიტორიის ერთ-ერთი მეწილე გოჩა თევდორაძეა, შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია სიმართლეს?**

– ვინ არის გოჩა თევდორაძე? ის ჩემი მეგობარია, მაგრამ წილში რატომ უნდა მყავდეს? საერთოდ, ვერ ვიტან მეწილეებს, არ მიყვარს ფულის გაყოფა.

**— თუმცა, შპს „იბერიის ვარსკვლავში“ თქვენ გყავთ 25%-იანი მეწილე ხვიჩა ღონღაძე, რომელიც გოჩა თევდორაძის ცოლისძმაა.**

– კი მყავს, მერე რა?

**— არაფერი, თქვენ ამბობთ, რომ მეწილეები არ გიყვართ.**

– არ მჭირდება მეწილეები, ეს ტერიტორია არის ჩემი, მხოლოდ ჩემი საკუთრება. დავით კოსტავას და მისი ოჯახის საკუთრება.

ამჯერად მერიის და უშუალოდ კეთილმოწყობის სამსახურის თხოვნით, ეს ადამიანები (საუბარია გარემოვაჭრეებზე) გარკვეული პერიოდით უსასყიდლოდ შევუშვი იქ. გაზაფხულიდან კი ამ ტერიტორიაზე სერიოზული საინვესტიციო პროექტის განხორციელებას ვგეგმავ. სავარაუდოდ, აქ სავაჭრო ცენტრი აშენდება, ფუნდამენტი წლების წინ ჩაიყარა, მაგრამ ლაშა მაქაცარიამ და მისმა მეგობრებმა მიწით ამოავსეს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

# ქუთაისის მერიის გასაიდუმლოებული „ავტოსასაფლაო“



„ავტოსასაფლაოზე“ შესვლა სპეციალური ნებართვის გარეშე გამორიცხულია

„P.S.ფოტო“ (მარიამ პატარაია) ©

## რატომ დამალა გიგა შუშანიამ ავტოავარიის ფაქტი და რამდენი ათასი ლარის ზიანი მიაყენა ქუთაისის მერიას?

„მერსედეს ბენცი“ E 240. რუხი ფერის. 1998 წლის გამოშვება. საწყისი ფასი 40 ათასი ლარი.

არ მუშაობს, ნაავარიებ მდგომარეობაშია, ძრავი „დასტუკულია“, დაზიანებულია ძარა და სხვა მრავალი შემადგენელი ნაწილი, აღდგენა ძვირადღირებულია – ეს იმ დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნაა, რომელმაც ქუთაისის მერიაში არსებული ავტოპარკის ტექნიკური შემოწმება მერიის შესყიდვების სამსახურის დაკვეთით აწარმოვა. მანქანა კი, რომელზეც აუდიტმა ეს დასკვნა დადო, მერიის ტრანსპორტის სამსახურს ეკუთვნის.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

**5 წლის ანრი ლობჟანიძეს სწორი მკურნალობის დასანიშნად 7 ათასი დოლარი ესაჭიროება**

იხილეთ მე-7 გვერდზე

**„ფრეშ-ჯორჯიაში“ ექვსი თვის წინ გათავისუფლებულ მუშებს აბრუნებენ**

იხილეთ მე-5 გვერდზე

**ქვეყნის მასშტაბით გამოკითხულთა 39% მისი ოლქის მაჟორიტარ დეპუტატს არ იცნობს**

იხილეთ მე-5 გვერდზე

**„ფიგაროს ქორწინება“ ქუთაისის ოპერის თეატრში**



**2013 წლის 15 ნოემბერს** ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული სტუდიის სტუდენტური დასი წარმოგიდგენთ მოცარტის ოპერას **„ფიგაროს ქორწინება“**.

დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი

**გოგი ჭიჭინაძე**

**დასაწყისი 19 საათზე**

**მთავარი პროკურორის ტვირთი**

**არჩილ კბილაშვილი: „ჩემი თანამდებობაზე მოსვლა იყო ნაადრევი“**



იხილეთ მე-4 გვერდზე

ქიმერიონი

qimerioni.ge

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 8 განცხადებები — გვ. 7

# „გოჩა-ნოსტრას" წილები და კორუფციული გარიგებები ქუთაისში

## შეასრულებს თუ არა დანაპირებს გოჩა თევდორაძე და დაარიგებს თუ არა კუთვნილ ქონებას?

**პირველი** გვერდიდან

***

დავით კოსტავას ნათქვამს, რომ თავის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარემოვაჭრეები მერიის თხოვნით შეუშვა, სიცრუეს უწოდებს მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე ბაკურ ხურციძე.

ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის განყოფილების უფროსის, მურად იობიძის განცხადებით კი, აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგილობრივ თვითმმართველობას არანაირი ბერკეტი არ აქვს. იობიძე ადასტურებს, რომ სასკოლო ბაზრობასთან დაკავშირებით გარემოვაჭრეების შეშვება მერიის თხოვნით მოხდა, თუმცა, მათ მოლაპარაკება უნივერმაღის ხელმძღვანელობასთან ჰქონდათ.

„კოსტავს და უნივერმაღის ხელმძღვანელობას რაღაც კონფლიქტი ჰქონდათ, ჩვენ მოლაპარაკებას უნივერმაღის ხელმძღვანელობასთან ვაწარმოებდით, თუმცა არსებული ინფორმაციით ტერიტორია კოსტავას საკუთრებაა. ზუსტად არ ვიცი, მგონი თვითონაც არ იციან, რა ხდება. რაც შეეხება ამჯერად გარემოვაჭრეებისთვის ტერიტორიის დათმობას და ბაზრის გახსნას არ ვეთანხმებით, რადგან ქალაქის იერსახეს ამახინჯებს. კოსტავა იმ ტერიტორიაზე მრავალსართულიანი შენობის აგებას გეგმავდა, ფუნდამენტი გაჭრილი იყო, მერე მიატოვეს და ორი კვირის მანძილზე მიწით ძლივს ამოვავსეთ. ეს არის კერძო საკუთრება და კოსტავამ გარემოვაჭრეები საკუთარი სურვილით შეუშვა, რაშიც, ალბათ, გარკვეულ თანხასაც იღებს. მერია გარემოვაჭრეებს რკინიგზის მეორე სადგურთან სთავაზობდა ტერიტორიას, დღიურად სამი ლარის საფასურად, რაზედაც თანახმა იყვნენ, მაგრამ მათ უარის მოტივად ტერიტორიის გზიდან მოშორება მოიმიზეზეს," – აღნიშნა **მურად იობიძემ.**

იმ ფაქტს, რომ ტერიტორიაზე სავაჭროდ დავით კოსტავას ნებართვით შევიდნენ, ადასტურებენ თავად გარემოვაჭრეებიც. მათი განცხადებით, მათ ბაზრობაზე დაწესებული მაღალი გადასახადის გადახდა არ შეეძლოთ, რის გამოც კოსტავას მიმართეს თხოვნით მან კი ტერიტორიაზე ვაჭრობის ნება დართო.

### „გოჩა-ნოსტრადან" „გოჩ-აია"-მდე!

„პატრიოტთა ალიანსის" იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის წინააღმდეგ გასულ კვირაში მერიის წინ აქციები გაიმართა. აქციის მონაწილეების განცხადებით, ქუთაისს ჯერ კიდევ გოჩა თევდორაძე მართავს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოსცილდეს ქალაქს. მას აქციის მონაწილეებმა „გოჩა–ნოსტრა" უწოდეს, ხოლო ყოფილმა ვიცე-გუბერნატორმა შუშანიამ ისიც კი განაცხადა, რომ ქუთაისს „გოჩ-აია" უნდა ეწოდოს.

გიგა შუშანიას ბრალდებების კასკადი ასეთია: „ჭავჭავაძის გამზირზე აღნიშნულ ტერიტორიასთან დაკავშირებით კონფლიქტი მქონდა გოჩა თევდორაძესთან. 2007 წელს, როდესაც სამი კვირით ვიყავი მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, ჩემთან შემოვიდა განცხადება, რომლის საფუძველზეც, ჭავჭავაძის გამზირზე არსებული მიწის ფართი ყოველგვარი აუქციონის გარეშე, პირდაპირი მიყიდვის გზით უნდა გადასცემოდა შპს „იბერიის ვარსკვლავს", მე ჩავთვალე, რომ ეს იყო კორუფციული გარიგება და ამ განცხადებას შესაბამისი რეზოლუცია დავადე. 2011 წლის ნოემბერში კი ნუგზარ შამუგიას ხელმოწერით ტერიტორია დავით კოსტავს გადაეცა. თავის დროზე მოხდა უკანონოდ გაცემა, რადგან ტერიტორია თითქმის 71 ლარად მიეყიდა „იბერიის ვარსკვლავს", რომლის 25%-იანი წილის მფლობელი გოჩა თევდორაძეა, თუმცა, ეს წილი ცოლისძმის სახელზე აქვს გადაფორმებული. ამ გარიგებით, უპირველეს ყოვლისა, ქალაქის ბიუჯეტი დაზარალდა, რადგან ტერიტორიის კანონიერად გასხვისების შემთხვევაში, ბიუჯეტში მინიმუმ მილიონი ლარი უნდა შესულიყო. საქმე ისაა, რომ გოჩა თევდორაძე ჩამოყალიბდა ტიპურ მაფიოზად, რომელიც ცდილობს, საზოგადოებას დაანახოს, ვითომდა სხვებიც არ არიან მასზე უკეთესები."

თევდორაძე კატეგორიულად უარყოფს როგორც შუშანიას, ისე აქციის მონაწილეთა ყველა ბრალდებას და ხალხს იქით ეკითხება: „უმუშევარი კაცი ქალაქს როგორ უნდა ვმართავდე?"

გოჩა თევდორაძის განცხადებით, აქცია ათიოდე მოქალაქემ გამართა,



გოჩა თევდორაძე



„P.S. ფოტო" ©

ახალი ბაზრობა ჭავჭავაძის გამზირზე

რომლის ორგანიზატორიც ქუთაისის აწ უკვე ყოფილი მერის მოვალეობის შემსრულებლის, კოტე ლომიძის ცოლის ნათესავი, სულხან ქობულაძეა, რის გამოც აქციაც პირად მიზნებს ემსახურებოდა. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ დღეს ქალაქის „თავის" პოსტზე ლომიძე „პატრიოტთა" მიერ ვიცე-მერად დანიშნულმა გია შარაბიძემ შეცვალა.

### „იპოვეთ ჩემი ქონება და გაჩუქებთ!"

თევდორაძე ასევე კატეგორიულად უარყოფს მასზე გავრცელებულ ინფორმაციას „იბერიის ვარსკვლავში" წილის და, საერთოდ, რაიმე უძრავი ქონების ფლობის შესახებ. ყოფილმა ვიცე-გუბერნატორმა საჯაროდ აღნიშნა, რომ თუკი ქუთაისსა და თბილისში მის სახელზე გაფორმებულ ქონებას აღმოაჩენენ, დაუყოვნებლივ გაასხვისებს. მისივე განცხადებით, გაურკვეველია, რატომ არ პატიობენ იმ ფაქტს, რომ 46 კვ.მ ფართობის სახლს ფლობს და რომ მის დას პასელოკში ბინა აქვს.

„არანაირ წილს არ ვფლობ, არასწორ ინფორმაციას ჩემზე დაბოღმილი გიგა შუშანია ავრცელებს, ალბათ იმის გამო, რომ კარგად იცის, მისთვის დიდი საქმე მაქვს გაკეთებული, კონკრეტულ ფაქტებზე ახლა არ ვისაუბრებ. საერთოდ რომ არსებობს და ოჯახის რჩენა შეუძლია ჩემი მადლობელი უნდა იყოს. რაც შეეხება ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ ტერიტორიას, ეს ტერიტორია „იბერიის ვარსკვლავს" ახლა არ გადაცემია, მას 7 წლის მანძილზე იჯარით ფლობდა, მაგრამ გიგა შუშანიამ და ლაშა მაქაცარიამ, რომლებიც ამ ადგილით თავად იყვნენ დაინტერესებულნი, 2010 წელს უკანონოდ ჩამოართვეს დავით კოსტავას. ეს ტერიტორია და მის მოპირდაპირე მხარეს შენობა, რომელიც სავაჭრო ცენტრ grand mall-ის გვერდით მდებარეობს, „იბერიის ვარსკვლავმა" სასამართლოს მეშვეობით დაიბრუნა (თევდორაძის განცხადებით, grand mall-ში წილს გიგა შუშანია ფლობდა), ხოლო უნივერმაღის გვერდით მდებარე ტერიტორია კი დავით კოსტავას „იბერიის ვარსკლავის" 75% წილის მფლობელს, იძულებით დაათმობინეს. შენობა მხოლოდ 2012 წლის არჩევნების შემდეგ დაიბრუნა. გიგა შუშანიას მორალური უფლება არ აქვს, სხვის ქონებაზე ილაპარაკოს, რადგან გიგა შუშანიამ და ლაშა მაქაცარიამ ინფექციური საავადმყოფო, რომელიც მისი სიდედრის სახელზეა გაფორმებული, ერთ ლარად მიიღეს," — აღნიშნა გოჩა თევდორაძემ, რომელმაც გიგა შუშანიას კორუფციული გარიგებებით და „ატკატებით" სახლში გაკეთებული რემონტი შეახსენა. „შუშანიამ თავის ქმედებებზე და ქონებაზე ისაუბროს, იმაზეც, თუ რა გზით აკეთებდა სახლში რემონტს? რაც შეეხება ჩემს ქონებას, არასწორი ინფორმაცია ვრცელდება. ქუთაისსა და თბილისში ნამდვილად არ მაქვს ბიზნესწილები, მაგრამ, თუკი ვინმე რამეს აღმოაჩენს ჩემს სახელზე გაფორმებულს, ყველაფერს გავაჩუქებ, ოღონდ სხვებზე და არა შუშანიაზე, რადგან ის არაფერს იმსახურებს," — აცხადებს **თევდორაძე.**

### „გოჩ-აიას" ოფიციალური ქონება ნაპოვნია! შეასრულებს თუ არა სიტყვას თევდორაძე?

მიუხედავად თევდორაძის განცხადებისა, რომ ის არანაირ უძრავ ქონებას არ ფლობს, გთავაზობთ საჯარო რეესტრიდან ამონაწერ არასრულ ჩამონათვალს იმ უძრავი ქონებებისას, რომელიც უშუალოდ გოჩა თევდორაძის სახელზეა გაფორმებული:

1. ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №6, **41.51 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი,** რომელსაც თევდორაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან თამაზ მარგველაშვილთან ერთად ფლობს.
2. ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქუჩა №1ა, **43კვ.მ ფართობი,**
3. ქ. ქუთაისი ავტოსადგურის №2-ის და ყოფილი პოლიციის შენობას შორის არსებული **ნაკვეთი 78. კვ.მ,**
4. ქ. ქუთაისის ირ. აბაშიძის გამზირის №17ბ, **1070,00 კვ.მ ფართობი.**
5. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი კვარტალი 2, კორპუსი №16, ჯამში **129. 63კვ.მ** ფართობი.

საინტერესოა შეასრულებს თუ არა საჯაროდ დადებულ პირობას გოჩა თევდორაძე და გააჩუქებს თუ არა მის სახელზე დარეგისტრირებულ ქონებებს?

**ნესტან ჩაგელიშვილი**

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:**
მარიამ პატარაია

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

# 8 წელია, ქუთაისში სახელმწიფო ფართს კერძო პირი უკანონოდ აქირავებს

**ქუთაისში, ფალიაშვილის №23-ში მდებარე საერთო სარგებლობის გასასვლელი, ერთ-ერთი ინდ.მეწარმის, მზია გიორგაძის მიერ უკანონოდ ქირავდება.**

გიორგაძეს აღნიშნული ტერიტორიის უკანონოდ მითვისებას მიმდებარე ფართში განთავსებული კერძო მესაკუთრეები ედავებიან.

გიორგაძეების ინფორმაცია, რომ მათ იჯარით აქვთ აღებული ფართი საერთო სარგებლობის გასასვლელში, ჩვენ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გადავამოწმეთ.

ფალიაშვილის №23-ში არსებული საერთო სარგებლობის გასასვლელზე, რომელსაც უკვე წლებია ინდ.მეწარმე მზია გიორგაძე აქირავებს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრის" ცნობით, 2005 წლიდან საიჯარო ხელშეკრულება არავიზე ფიქსირდება.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან ჩვენს მიერ გამოთხოვილ დოკუმენტში წერია: „სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის სამმართველოსა და მოქალაქე ომარ გიორგაძეს შორის 03.09.2002 წელს დადებული



იქნა №1306 საიჯარო ხელშეკრულება ქ. ქუთაისში ფალიაშვილის №23-ში მდებარე 19,20 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე. აღნიშნულ საიჯარო ხელშეკრულებას მოქმედების ვადა 2005 წლის 31 დეკემბერს შეუწყდა, რაც შეეხება მოქალაქე მზია გიორგაძეს, აღნიშნულ პიროვნებასთან საიჯარო ხალშეკრულება არ დადებულა."

როგორც ირკვევა, მზია გიორგაძეს საერთო სარგებლობის გასასვლელის გაქირავების უფლება არ აქვს და მისი მტკიცება, ფართის იჯარით ფლობასთან დაკავშირებით, სიცრუეა. თუმცა, ის დღემდე იღებს სარგებელს უკანონოდ მითვისებული ტერიტორიიდან და გარდა იმისა, რომ არაკანონიერ ქმედებას ახორციელებს, ხელს უშლის სხვა კერძო მესაკუთრეებს საკუთარი საქონლის რეალიზაციაში.

ვის ევალება ქალაქის ცენტრში კერძო პირის მიერ უკანონოდ მითვისებულ და გაქირავებულ ფართზე რეაგირება და რატომ არ დაინტერესდა შესაბამისი სამსახური 8 წლის განმავლობაში აღნიშნული ფაქტით, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ სხვა კერძო მესაკუთრეები აქტიურად და არაერთხელ მიმართავდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, გაზეთი „P.S." კვლევას განაგრძობს.

**ჟანა ჟანელიძე**
psnews.ge

# საცხოვრებელი კორპუსი ნესტან და კირა კვეიძეების სახლის ნანგრევებზე

## როგორ ნადგურდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები



სახლი რუსთაველის 27-ში, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სიაში იყო და დღეს აღარ არსებობს...



„P.S. ფოტო" (მარიამ პატარაია) ©

საცხოვრებელი კორპუსი კულტურული მემკვიდრეობის ნანგრევებზე

**ქუთაისში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სახლი, რომელიც 2006 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, აღარ არსებობს. იშვიათი არქიტექტურის მქონე ერთსართულიანი ნაგებობა 2008 წელს, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის გამო დაანგრიეს. მშენებლობაზე ნებართვა კი ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა გასცა.**

„ერთსართულიანი ხის სახლი ეზოს სიღრმეში დგას და ფასადით ქუჩის მხარეს არის მიმართული. ფასადს მთელ სიგრძეზე ხის დორიულ სვეტებიანი აივანი მიუყვება. აივნის შიდა კედელი თაღოვანი ღობეებით არის დანაწევრებული. შენობა სრულიად უცხოა ქუთაისის არქიტექტურისთვის. ერთის მხრივ, იგი იმერული სოფლის სახლს მოგვაგონებს, ხოლო დორიული სვეტებითა და აივნის შიდა დამუშავებით თბილისურ სახლთანაც ასოცირდება" – ეს რუსთაველის 27 ნომერში მდებარე სახლის აღწერილობითი ნაწილია. იშვიათი არქიტექტურის ერთსართულიანი ოდა წლების წინ სწორედ ასე გამოიყურებოდა. ახლა კი მის ადგილზე საცხოვრებელი კორპუსი დგას.

სახლი, რომელშიც ცნობილი ქუთაისელი მსახიობი და პოეტი ნესტან კვეიძე, დასთან და დედასთან ერთად ცხოვრობდა, მის ბიძას ეკუთვნოდა. როგორც რუსთაველის ქუჩის მცხოვრებლები ამბობენ, ნესტან კვეიძე ბიძის სახლიდან დიდი ხნის წინ გადავიდა და სახლი წლების განმავლობაში მიტოვებული იყო.

2007 წელს რუსთაველის 27-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია (107კვ.მეტრი) მოქალაქე მაგული ჯავახაძემ კომერციული მიზნებისთვის შეიძინა. სახლი დაანგრია და ადგილზე სამსართულიანი კომერციული ფართის მშენებლობა დაიწყო. ჯავახაძის სახელზე მშენებლობის ნებართვა ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა საკითხის შესწავლის გარეშე გასცა. მაშინ მერიას მხედველობაში არ მიუღია ის ფაქტი, რომ იმ დროს ნესტან კვეიძის საცხოვრებელი სახლი უკვე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენდა. ჯავახაძემ შესყიდულ ტერიტორიაზე დაწყებული მშენებლობა ვერ დაასრულა. მშენებლობის შეფერხების გამო კი მას ნებართვა ორი წლით გაუგრძელეს, თუმცა, მფლობელმა მაინც ვერ მოახერხა მშენებლობის ბოლომდე მიყვანა, რის გამოც პროექტი ახლადდაფუძნებული გაერთიანება „ქრონიკის უბნის" დირექტორმა გია კოპალეიშვილმა გადაიბარა. კოპალეიშვილმა მშენებლობის გაფართოება განიზრახა და არქიტექტურის სამსახურს ახალი პროექტი წარუდგინა. სამსახურმა ამჯერადაც ყოველგვარი გადამოწმების გარეშე კოპალეიშვილს რუსთაველის 27-ში ექვსსართულიანი კორპუსის მშენებლობის უფლება მისცა. ორჯერ გასხვისებულ ტერიტორიაზე ორჯერ გადაწერილი პროექტის განხორციელების ნებართვას კი საბოლოოდ ხელს ქალაქის მერის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი ირაკლი ჯიქია აწერს.

ჯიქიას ხელმოწერისა და 2012 წლის 17 სექტემბრის საკრებულოს №1101 ბრძანებულების საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნანგრევებზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაიწყო.

განახლებული პროექტის ავტორი ანდრო მარჯანიშვილი, რომელიც ახლა ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსია, ამბობს, რომ პროექტი მან შეადგინა, თუმცა, მაშინ არათუ მან, არამედ დამკვეთმაც არ იცოდა იმის შესახებ, რომ ტერიტორიაზე წლების წინ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი იდგა.

„მაშინ აქ სისტემაც არ არსებობდა, რამე დამცავი მექანიზმი რომ შეექმნათ, რომელიც მსგავს ფაქტებს თავიდან აგვაცილებდა. თვითონ სამსახურშიც არ იცოდნენ, იყო თუ არა იქ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. სწორედ ამიტომაა აუცილებელი, რომ ყველა საკუთრების მოწმობაში იყოს მითითებული, არის თუ არა ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი,"— ამბობს **ანდრო მარჯანიშვილი.**

ქუთაისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოძიება, შესწავლა და მათი ხელახალი აღრიცხვა უკვე დაწყებულია. როგორც მერიის კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურში ამბობენ, ქალაქში ბევრი ისტორიული ნაგებობაა, რომლის შესახებაც თავად მფლობელებმაც არ იციან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდი ხანია, ამ სტატუსს ატარებენ.

„2010 წელს, ხელახალი აღრიცხვა როცა ჩაატარეს, ადგილზე არც შეუსწავლიათ, იყო თუ არა ესა თუ ის ძეგლი. პირდაპირ გადაიტანეს განახლებულ ბაზაში. საკითხი კი შეუსწავლელი დარჩა და ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნომერი არ ემთხვევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მისამართს. ამიტომაც მოხდა ამ სახლის განადგურებაც და ეს ხდება მაშინ, როცა ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის აღწერა და მოვლა-პატრონობა. ეს სახლი კი არ უნდა დანგრეულიყო, არამედ უნდა მომხდარიყო მისი რეაბილიტაცია და შეენარჩუნებინათ ძეგლი," — ამბობს სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ვიკა ჩოგოვაძე.**

იქ, სადაც წლების წინ ნესტან კვეიძის საცხოვრებელი სახლი იდგა, ექვსსართულიანი კორპუსის მშენებლობა თითქმის დასრულებულია. მეპატრონეს კორპუსში საცხოვრებელი ფართების გაყიდვა უკვე დაწყებული აქვს.

***

ქუთაისში ბოლო მონაცემებით 217 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, თუმცა, მას შემდეგ, რაც სამსახური ხელახალ აღრიცხვას დაასრულებს, შესაძლოა, მათი რიცხვი გაიზარდოს. როგორც სამსახურში ამბობენ, ქალაქში ბევრი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომლის შესახებაც საზოგადოებამ არაფერი იცის. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ძეგლები უკონტროლოდ იყიდება, ზოგჯერ კი ნადგურდება კიდეც.

კანონით, მფლობელს უფლება არ აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე თვითნებური ზეგავლენა მოახდინოს, მათ შორის იგულისხმება ძეგლის ნაწილების ან ფრაგმენტების გადაკეთება, დანაწევრება, დამატება და სხვა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის იერსახის შეცვლა, გასხვისება ან სხვა ქმედება მფლობელმა მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით უნდა განახორციელოს.

# ქუთაისის მერიის გასაიდუმლოებული „ავტოსასაფლაო"

## რატომ დამალა გიგა შუშანიამ ავტოავარიის ფაქტი და რამდენი ათასი ლარის ზიანი მიაყენა ქუთაისის მერიას?

**პირველი** გვერდიდან



„P.S. ფოტო" (მარიამ პატარაია) ©

ტრანსპორტის სამსახურის სარგებლობაში რამდენიმე წლის წინ გადაცემული ეს ძვირადღირებული ავტომობილი ახლა გამსახურდიას ქუჩაზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ეზოში აყენია. მერიის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურში, რომელსაც არც სწრაფი რეაგირების ბრიგადა ჰყავს და არც შესაბამისი ტექნიკა გააჩნია, მერიის ბალანსზე არსებულ, მწყობრიდან გამოსულ ნივთებს იცავენ. გამოუსადეგარი ნივთებისა და ავტომობილების საწყობს გაძლიერებული დაცვა ჰყავს. 24-საათიანი მორიგეობის პირობებში ტერიტორიაზე შესვლა სპეციალური ნებართვის გარეშე შეუძლებელია.

გამსახურდიას ქუჩაზე საწყობის არსებობის შესახებ ადგილობრივთა უმრავლესობისთვის ცნობილი არ არის. მათი დიდი ნაწილი ადგილზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის არსებობასაც კი გამორიცხავს. ამბობენ მხოლოდ იმას, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე 90-იან წლებში სამხედრო ნაწილი იყო, თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც ადასტურებს, რომ არაერთხელ უნახავთ, გვიან ღამით როგორ მიჰქონდათ დამტვრეული ავტომობილები სპეციალური ტექნიკის დახმარებით.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, სწორედ ამ ეზოში დგას E კლასის „მერსედეს ბენცი", რომელიც იმ კანონდარღვევის ერთადერთი მტკიცებულებაა, რომლის ერთ-ერთ ავტორად იმერეთის ყოფილი ვიცე-გუბერნატორი გიგა შუშანია მოიაზრება.

საქმე, რომელიც ამ დრომდე არ გახმაურებულა, რიკოთის უღელტეხილზე 2011 წელს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას უკავშირდება.

2011 წელს იმერეთის მაშინდელი ვიცე-გუბერნატორის, გიგა შუშანიას პირადი დავალებით, ტრანსპორტის სამსახურიდან გამოთხოვილი ავტომობილი თბილისისკენ მიმავალ გზაზე ავარიაში მოხვდა. ავტომობილს მძღოლი ვინმე ბადრი მართავდა, რომელმაც მომხდარის შესახებ საპატრულო პოლიციას არ შეატყობინა. იმერეთის მხარის მაშინდელმა მაღალჩინოსანმა კი, თავის მხრივ, მერიის ბალანსზე არსებული ქონების დაზიანების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ თვითმმართველობას დაუმალა, თუმცა, ცხადია, რომ მერიის მაღალჩინოსნებისთვის ძვირადღირებული ქონების დაზიანების ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. მიუხედავად ამისა, ქალაქის ხელმძღვანელობას მომხდარზე რეაგირება არ მოუხდენია.

შესაბამისად, ადგილობრივ თვითმმართველობაში არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, რაც დაადასტურებს მერიის ავტოპარკის შემცირების ან ფინანსური ზარალის მიყენების ფაქტს.

კანონის თანახმად, მსგავს შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ფაქტის შეტყობინება უნდა მოხდეს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ქალაქის მერმა კი პირადი ბრძანების საფუძველზე უნდა მოითხოვოს დაზიანებული ავტომობილის შემოწმება და მიყენებული ზარალის კომპენსაციის სახით გადახდა დააკისროს ავტომობილის მძღოლს.

ნაცვლად ამისა, ავტომობილის დაზიანებისთვის პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია. პირიქით, მომხდარი არ გახმაურდა და 40 ათას ლარიანი ავტომობილი უბრალოდ ჩამოწერეს.

თავად ყოფილი ვიცე-გუბერნატორი გიგა შუშანია გაზეთ „პოსტსკრიპტუმთან" საუბარში მსგავსი ფაქტის არსებობას კატეგორიულად გამორიცხავს.

„არა. ნამდვილად არ ყოფილა ასეთი რამ. ჩემი მძღოლი ყოველთვის ჩემ მანქანას მართავდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცი. ჯერ ერთი, ავარია თუ მოხდა, რამე ხომ უნდა დამართოდა მძღოლს და ჩემთვის ხომ უნდა ეცნობებინათ? მსგავსი რამ ნამდვილად არ მომხდარა. ჩემთვის ეს თემა საერთოდ უცნობია," — ამბობს გიგა შუშანია, რომელიც ამჟამად „დემოკრატიისა და თავისუფლების ცენტრის" გამგეობის წევრია.

### „ავტოსასაფლაო" გამსახურდიას ქუჩაზე

გარდა ნაავარიები „მერსედეს ბენცისა", საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ეზოში არსებულ „ავტოსასაფლაოზე" აუდიტის მიერ შემოწმებული კიდევ სამი ავტომობილია. მათგან ორის დაზიანებისთვის მძღოლებმა ერთ შემთხვევაში 7, ხოლო მეორე შემთხვევაში 10 ათასი ლარი კომპენსაციის სახით გადაიხადეს, თუმცა ავტომობილების აღდგენა არ მომხდარა. კიდევ ერთი ავტომობილი, რუხი ფერის „რენო" კი ექსპერტიზის დასკვნით, აღდგენას არ ექვემდებარება.

ეზოში ასევე დგას მწყობრიდან გამოსული რამდენიმე ავტობუსი, მიკროავტობუსი და სახანძრო-სამაშველო სამსახურის მანქანა. ქუთაისის მერიის „ავტოსასაფლაო", საერთო ჯამში, ათეულობით უფუნქციო ავტომობილს ითვლის.

### მერიისთვის მიყენებული 114 ათას ლარიანი ზარალი

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭომ ქუთაისის მერიის ბალანსზე არსებული 35 ავტომობილი მიმდინარე წლის ივნისში შეამოწმა. დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა 1991-2000 წლებში გამოშვებულ 18, ხოლო 2000-დან 2008 წლის ჩათვლით გამოშვებულ 17 ავტომობილს ფლობს. მათგან 4 გამოუსადეგარია. გარდა E კლასის „მერსედეს ბენცისა". სხვადასხვა დაზიანებები დღემდე დაუდგენელ ვითარებაში აქვს მიღებული 18, 25 და 48 ათას ლარიან იმ სამ ავტომობილს, რომლებიც ასევე უფუნქციოა.

მარტივი დაანგარიშებით გამოდის, რომ 4 ავტომობილის დაზიანების გამო, მერიას 131 ათას ლარიანი ზარალი მიადგა, აქედან 17 ათასი ლარი ორმა მძღოლმა გადაიხადა. დარჩენილი 114 ათასი ლარი კი, ჯერჯერობით, აუნაზღაურებელია.

**მარიამ პატარაია**

# „ივანიშვილი რუხი კარდინალი გახდება?“

**„საქართველოს პრემიერ-მინიტრი ბიძინა ივანიშვილი ამტკიცებს, რომ მისი გადადგომა, რასაც ამ თვეში აპირებს, ხელს შეუწყობს ამ ამიერკავკასიურ რესპუბლიკას, გათავისუფლდეს ძლიერი პოლიტიკური ფიგურებისაგან. თუმცა პოლიტოლოგები თბილისში ვარაუდობენ, რომ იმ შემთხვევაშიც, თუკი ივანიშვილი უარს იტყვის თავის ოფიციალურ სტატუსზე, ის მაინც დარჩება კულისებიდან ქართული მთავრობის მმართველ ძალად,“ — წერს მოლი კორსო Eurasianet.org-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში „ივანიშვილი რუხი კარდინალი გახდება?“**



ბიძინა ივანიშვილი

ავტორი აღნიშნავს, რომ თუკი ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც დღეს ვარაუდობენ, ამ თვის ბოლოს საქართველო გაურკვეველ პოლიტიკურ სივრცეში შეაბიჯებს, შეიძენს რა ახალ პრემიერ-მინისტრს. დღევანდელ დღეს, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილის პირადი გეგმების მიღმა მთავრობას საკუთარი სტრატეგია აქვს, და არავინ ცდილობს იმ შთაბეჭდილების გაფანტვას, რომ მილიარდერი ერთადერთი რეალური მმართველია.

„იმ წარმოდგენას, რომ სწორედ ივანიშვილი დარჩება უახლოეს მომავალში მთავარ ძლევამოსილ ფიგურად, ორი ფაქტორი აძლიერებს. ერთი — ეს არის მძლავრი ინსტიტუტის არარსებობა, ისეთი წონიანი ინსტიტუტის, რომელიც შეძლებდა ვაკუუმის შევსებას ივანიშვილის წასვლის შემდეგ. და მეორეც — პრემიერ-მინისტრის უზარმაზარი პირადი ქონება („ფორბსის“ შეფასებით, $5.3 მილიარდი) ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ის კვლავინდებურად მოახდენს სერიოზულ გავლენას პოლიტიკურ პროცესზე,“ — წერს **მოლი კორსო.**

არც ღარიბაშვილს და არც მარგველაშვილს პოლიტიკური გამოცდილება არ აქვთ, გარდა იმისა, რომ ისინი ივანიშვილის „ქართულ ოცნებაში“ მუშაობდნენ. მთავრობაში მათი მუშაობის გამოცდილება მთლიანობაში მოიცავს წელიწადსა და ცხრა თვეს. როგორც ღარიბაშვილის ოფიციალური ბიოგრაფიიდან არის ცნობილი, მისი მთელი პროფესიული კარიერა უკავშირდება ივანიშვილის კუთვნილ ან მის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებში მუშაობას. მოკლე ოფიციალურ გამოსვლაში, სადაც ივანიშვილმა ის „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წარადგინა (2 ნოემბერი), ღარიბაშვილმა პირობა დადო, რომ „არ დაიშურებს ძალებს იმისთვის, რომ განაგრძოს“ ივანიშვილის პოლიტიკა.

ანალოგიურად, 44 წლის მარგველაშვილი უფრო იმით არის ცნობილი, რომ ივანიშვილის „კარგი მეგობარია“, ვიდრე მისი ცხრათვიანი მუშაობით განათლების მინისტრის თანამდებობაზე. მარგველაშვილს ასევე არაერთხელ უთქვამს, რომ ივანიშვილი მოახდენს გავლენას მის გადაწყვეტილებებზე, როდესაც ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

თბილისის სოციალური კვლევების ცენტრის დირექტორის და პოლიტოლოგის მარინა მუსხელიშვილის თქმით, იმ ფონზე, როდესაც მთავრობას არ აქვს მკაფიო სტრატეგია, გარდა მიმავალი პრემიერის სტრატეგიისა, ივანიშვილს ცალსახად აქცევს „ძალიან გავლენიან ჩრდილოვან ფიგურად“.

„არა იმიტომ, რომ ივანიშვილის პირადი მოტივები და მისი განზრახვები მცდარია, უბრალოდ, ზოგადად, მენტალიტეტი არ არის საკმარისად განვითარებული იმისთვის, რომ შეიქმნას პოლიტიკური ბაზა ძლიერი ლიდერის გარეშე“, — ამბობს იგი. „ძლიერი ლიდერი არ ნიშნავს აუცილებლად ავტორიტარ ლიდერს“, არამედ ეს შეიძლება იყოს ლიდერი, რომლის „მიზანიც არის რაღაც კარგი გააკეთოს ქვეყნისათვის“, — დასძენს იგი.

პოლიტიკური გავლენის გარდა, ივანიშვილისთვის ყველაზე ხელშესახები გზა იმისთვის, რომ საზოგადოებას თავისი არსებობა აგრძნობინოს, ფულია. სექტემბერში მან განაცხადა, რომ მილიარდი დოლარის ჩადებას აპირებს ექვსმილიარდიან საინვესტიციო ფონდში, რომლის მიზანიც საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაა.

იურისტ თამარ გურჩიანისთვის, რომელიც აქტიურად მუშაობს სამოქალაქო საზოგადოების პრობლემებზე, ივანიშვილის გადაწყვეტილება, ამხელა ინვესტიცია განახორციელოს ფონდში საკუთარი სახსრებიდან, თანაც იმ ფონზე, როდესაც პრეზიდენტის და პრემიერის თანამდებობებზე „თავისი მიმდევრები“ დანიშნა, მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ ის ინარჩუნებს მთავრობის ქმედებების გაკონტროლების გარკვეულ შესაძლებლობებს. „უდავოა, რომ ის კულისებიდან აპირებს მუშაობას“, — ფიქრობს იგი.

შედეგად, შეიძლება მივიღოთ ძლიერი ლიდერი, რომელიც საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის — ამბობს სერგი კაპანაძე, წარსულში, მიმავალი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და დღეს თბილისში, ანალიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დირექტორი, რომელიც მთლიანობაში მთავრობისადმი კრიტიკულადაა განწყობილი.

„თუკი ჩვენ მივიღებთ ისეთ სცენარს, რომელშიც ექსპრემიერი მუდმივად მიიღებს მონაწილეობას პოლიტიკაში, ჩემი აზრით, ეს ქვეყნისთვის ვერ იქნება სასარგებლო ძალიან ბევრი მიზეზის გამო... პირველ რიგში იმიტომ, რომ საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება დაიკარგება,“ — ამბობს **კაპანაძე.**

პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, ივანიშვილის განცხადების შთაბეჭდილების ქვეშ, ღარიბაშვილს უკვე „პრემიერ-მინისტრს“ უწოდებენ, ფიქრობენ რა, რომ მისი დამტკიცება პარლამენტში უკვე გადაწყვეტილი საქმეა.

ასეთი აქცენტი ცალკეულ პიროვნებებზე კი იმას ნიშნავს, რომ თუკი მიიჩნევენ, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი სუსტია, მთელ ყურადღებას მიმართავენ მისი ძალაუფლების სავარაუდო წყაროსაკენ — ამ შემთხვევაში ივანიშვილისკენ.

ასეთ ვითარებაში, ახალი პრემიერ-მინისტრისთვის მთავარ პრობლემად შეიძლება იქცეს საკუთარი ლეგიტიმურობის დემონსტრირება, მიაჩნია „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დირექტორის მოადგილეს და სააკაშვილის პერიოდის ელჩს, **პაატა გაფრინდაშვილს.**

**ცოტნე პაატაშვილი**

# მთავარი პროკურორის ტვირთი

## არჩილ კბილაშვილი: „ჩემი თანამდებობაზე მოსვლა იყო ნაადრევი“

**საქართველოს მთავარი პროკურორი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ თანამდებობას დატოვებს. არჩილ კბილაშვილი თანამდებობას ტოვებს და ბიძინა ივანიშვილის მსგავსად, სამოქალაქო სექტორში გადადის. მთავარი პროკურორი თვლის, რომ მისი თანამდებობაზე მოსვლა ნაადრევი იყო და მას ორხელისუფლებიანობის დროს მოუწია მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მუშაობა. „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა კი კბილაშვილის წასვლა ციდიხან ამგვარად შეაფასა — „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია წავიდეს...“**



არჩილ კბილაშვილი

არჩილ კბილაშვილის განცხადებით, მასსა და მომავალ პრემიერ-მინისტრს შორის არანაირი უთანხმოება არ არსებობს და მისი თანამდებობიდან წასვლა ამას არ უკავშირდება. ყოფილი ადვოკატი და მოქმედი მთავარი პროკურორი ფიქრობს, რომ მისი თანამდებობაზე მოსვლა ნაადრევი იყო.

„ვფიქრობ, რომ ჩემი თანამდებობაზე მოსვლა იყო ნაადრევი, რადგან წინა რეჟიმს, რომ მართლმსაჯულების კარი არ ამოეგმანა, არც პოლიტიკისკენ, არც თანამდებობისკენ გამხედავი არ ვიყავი, ყოველ შემთხვევაში, 41 წლის ასაკაში, როგორც ეს ჩემს სინამდვილეში მოხდა. თანამდებობაზე ყოფნა უდაოდ პრესტიჟია, თუმცა იგი ჩემთვის ღირებულებას არ წარმოადგენს,“ — განაცხადა კბილაშვილმა.

მთავარმა პროკურორმა არ უარყო, რომ პროკურატურის გარდაქმნასთან დაკავშირებით მისი და პრემიერ-მინისტრის მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მისი თქმით, ეს აზრთა სხვადასხვაობა შეეხება დროს და არა პრინციპს.

„პრემიერი, ისევე როგორც მე, ფიქრობს, რომ საქართველოში ევროპული ტიპის პროკურატურა უნდა შევქმნათ, ოღონდ მე შედარებით სწრაფი მოქმედებების მომხრე ვარ. ვნახოთ, დრო აჩვენებს, რამდენად ვცდებოდი,“ — განაცხადა **არჩილ კბილაშვილმა.**

მთავარმა პროკურორმა საგანგებო ბრიფინგზე ისიც აღნიშნა, რომ მისი საქმიანობის დრო საქართველოში ორხელისუფლებიანობის პერიოდს დაემთხვა და ბუნებრივია, რომ ის კოჰაბიტაციით განაწყენებული მოქალაქეების წყრომის ადრესატი იყო.

„პროკურატურის საქმიანობა იმ პოლიტიკით იყო ნასაზრდოები, რომელიც ხალხში კოჰაბიტაციის სახელით არის ცნობილი. ამიტომ ბუნებრივია ისიც, რომ ვარ კოჰაბიტაციით განაწყენებულ მოქალაქეთა წყრომის ადრესატიც, თუმცა ვთვლი, რომ პრემიერ ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში ზომიერებითა და დაბალანსებულობით გამოირჩეოდა, ერთადერთი სწორი პოლიტიკა იყო. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ვერ ვხედავდი, ან მომწონდა ნაკლოვანებები, რაც პროკურატურის სისტემას მემკვიდრეობით აქვს მიღებული,“ — განაცხადა ჯერ კიდევ მოქმედმა მთავარმა პროკურორმა.

### „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია წავიდეს...“

მთავარი პროკურორის თანამდებობიდან არჩილ კბილაშვილის გადადგომას სოციალურ ქსელ Facebook-ზე გამოქვეყნებული განცხადებით „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანიც გამოეხმაურა.

„ამ ადამიანმა პროკურატურა ივანიშვილის პირადი შურისძიების ინსტრუმენტად აქცია. უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში პროკურატურა ივანიშვილის პირად დავალებებს ასრულებს, რაც გულისხმობს, პოლიტიკური ოპონენტების განადგურებას, ალტერნატიული აზრის მოსპობას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაშლას და მისი პოლიტიკური სივრციდან გაქრობას. ამავე დროს, კბილაშვილმა თავის თავზე აიღო მწამებელი ვლადიმერ ბედუკაძის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, რითაც „ქართულ ოცნებასთან“ ბედუკაძისა და მისი ჯგუფის თანამშრომლობა დაფარა. მისი საქმიანობა მოკლედ შეიძლება, შეფასდეს — რომ იგი იყო ოპონენტების ჯალათი და ჯალათების ადვოკატი. მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია, წავიდეს,“ — აცხადებს **ვანო მერაბიშვილი**.

კბილაშვილის გადადგომას „ქართულ საზოგდოებას“ ულოცავს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე და თბილისის საკრებულოს წევრი კახა კუკავა, რომელიც ამ ფაქტს ჯერ არდანიშნული პრემიერ-მინისტრის დამსახურებად მიიჩნევს.

„ქართულ საზოგადოებას ვულოცავ, რომ კბილაშვილი პროკურატურას მოშორდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ახალ პრემიერს, რომელიც ჯერ არ არის დამტკიცებული, მაგრამ გასაგებია, რომ ეს მისი გადაწყვეტილებაა. ღარიბაშვილმა ძალიან კარგად დაიწყო და კარგი იქნება, თუ პროკურატურაში დარჩენილ კბილაშვილის კუდებს იქიდან მოაშორებს და პროკურატურა ჩადგება ქართველი ხალხის სამსახურში,“ — განაცხადა **კახა კუკავამ**.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, არჩილ კბილაშვილის თანამდებობიდან გადადგომა მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. დეპუტატი ამბობს, რომ მას ბევრი რამ პროკურატურის მუშაობაში არ აკმაყოფილებდა.

„რომ გითხრათ, რომ არ ველოდი გარდაქმნებს პროკურატურაში, ნამდვილად მოგატყუებთ. მე, როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, ადამიანს, რომელიც სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით გამოდიოდა ამომრჩევლის წინაშე, ბევრი რამ პროკურატურის მუშაობაში არ მაკმაყოფილებდა, მათ შორის, გამოძიების ტემპი,“ — განაცხადა **ცაგარეიშვილმა.**

მთავარი პროკურორის პოსტიდან არჩილ კბილაშვილის წასვლას გამოეხმაურა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძეც. მისი თქმით, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, არჩილ კბილაშვილი ამ თანამდებობაზე სრულიად არაადეკვატურ გარემოში იყო.

„ერთი წლის განმავლობაში 7 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიებამ, ფაქტობრივად, წინ ვერ წაიწია და მე, მაგალითად, ამდენი ხნის განმავლობაში არც კი დავუკითხივარ. პრეტენზიებიც ბევრი გვქონდა, თუმცა პიროვნული თვალსაზრისით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ადამიანი თავისი პატიოსნებით და ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე იმ გარემოში სრულიად არაადეკვატური იყო, რასაც დღეს ეს სისტემა წარმოადგენს,“ — განაცხადა **თარგამაძემ.**

### მთავარი პროკურორობა ურთულეს პერიოდში...

„მას ძალიან რთულ პერიოდში მოუწია პროკურორობა. მისი მუშაობა არ იყო იდეალური, თუმცა ასე თუ ისე მან მაინც ღირსეულად გაართვა თავი თავის მოვალეობებს. არ გადაუხვია სამართლებრივ გზას და „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები არ დაიწყო, რისი მოლოდინიც საზოგადოების დიდ ნაწილს ჰქონდა. სწორედ, ამის გამო, მისი უწყების მიმართ ბოლო დროს ძალიან ბევრი პრეტენზია გაჩნდა, ამიტომ მიმაჩნია, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო,“ — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწემ და რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა **დავით ზურაბიშვილმა** კბილაშვილის გადადგომის შეფასებისას.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (საია) თავმჯდომარე კახა კოჟორიძე მიიჩნევს, რომ არჩილ კბილაშვილს პროკურორის პოსტზე მუშაობა ძალიან რთულ პერიოდში მოუწია და მის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად პროკურატურის ლიბერალიზაცია მიაჩნია.

„არჩილ კბილაშვილს მოუწია ძალიან რთულ პერიოდში მთავარი პროკურორის უფლებამოვალეობის შესრულება. მე იმას ვგულისხმობ, რომ როდესაც ის მთავარ პროკურორად დაინიშნა, პროკურატურას რამდენიმე ათასი ადამიანი მიაწყდა, რომლებმაც შეიტანეს განცხადებები, სადაც საუბარი იყო წინა ხელისუფლების დროს ჩადენილ მძიმე დანაშაულებებზე,“ — განაცხადა **კოჟორიძემ.**

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

## „ფრეშ-ჯორჯიაში“ ექვსი თვის წინ გათავისუფლებულ მუშებს აბრუნებენ

ქუთაისში, ყოფილ საავტომობილო ქარხანაში გახსნილი ეგვიპტური კომპანია „ფრეშის“ ხელმძღვანელობა 6 თვის წინ გათავისუფლებულ თანამშრომლებს სამუშაო ადგილებზე აბრუნებს. 300-მდე მუშის სამსახურში აღდგენა ეტაპობრივად მოხდება. არსებული ინფორმაციით, პირველ ეტაპზე საწარმოში უკვე 100 მუშა დაბრუნდა.

კომპანია „ფრეშის“ თანამშრომლებმა საწარმოში არსებული სამუშაო გარემო არაერთხელ გააპროტესტეს. მუშებმა სველი წერტილების, სამზარეულოს და სხვა აუცილებელი პირობების უქონლობის გამო უკმაყოფილება არაერთხელ გამოთქვეს, რის შემდეგაც საწარმოს ხელმძღვანელობამ 300-მდე თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლა.

ქართულ-ეგვიპტური კომპანია „ფრეში“ ქუთაისში 2009 წელს შეიქმნა. ინვესტორ კომპანიას ქალაქში 2 მილიარდის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა, გაეხსნა 12 საწარმო და დაესაქმებინა 12 ათასი ადგილობრივი მცხოვრები, თუმცა, „ფრეშს“ ქუთაისში, 5 წლის შემდეგაც კი, არც დაპირებული 12 ქარხანა აუშენებია და არც ათასობით ქუთაისელი დაუსაქმებია.

ერთადერთ საწარმოში კომპანია საყოფაცხოვრებო ნივთებს ამზადებს და პროდუქცია უცხოურ ბაზარზე გააქვს.

**მარიამ პატარაია**
psnews.ge

## მუნიციპალური განვითარების ფონდი 81 ახალ ამბულატორიას ააშენებს

მუნიციპალური განვითარების ფონდი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში 81 ახალ ამბულატორიასააშენებს, — ეს განცხადება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, შოთა მურღულიამ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრაზე გააკეთა. „მუნიციპალური განვითარების ფონდმა უკვე გამოაცხადა ტენდერი, მიმდინარეობს შესაბამისი კომპანიის შერჩევა, გაწერილია სამუშაო გრაფიკიც; ის, რაც მუნიციპალიტეტების გასაკეთებელი იქნება, მონიშნულ მიწის ნაკვეთებზე საძირკვლის მომზადება, მიწისქვეშა კომუნიკაციების, წყლის, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიყვანაა იქ, სადაც ბუნებრივი აირი არ არის, მუნიციპალიტეტებმა შენობის შეშით უზრუნველყოფაზე უნდა იფიქრონ. ერთი წლის განმავლობაში, სამინისტრო პერმანენტულად გააკონტროლებს, რამდენად შეუფერხებლად და კარგად იფუნქციონირებს ეს ამბულატორიები,“ — განაცხადა მინისტრის მოადგილემ. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მუნიციპალიტეტები გამოყოფენ თითო ადამიანს, რომელიც უშუალოდ ამ პროექტის განხორციელებაზე იქნება პასუხისმგებელი. პირველი 10 ამბულატორია გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში აშენდება. არსებული გრაფიკის მიხედვით, პირველ ორ თვეში საქართველოში 10 ახალი ამბულატორია დაიდგმება, მესამე თვეს — 15. სრულად კი, 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობა ქვეყნის მასშტაბით 2014 წლის სექტემბრისთვის დასრულდება. ახალი ამბულატორიების სამედიცინო ტექნიკით აღჭურვას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს.

psnews.ge

# რატომ იწვება ტყეები?!



ხარაგაულში ძალიან მოკლე დროში სამ ადგილას გაჩაღდა ხანძარი. ზვარე, მაქათუბანი და რიკოთის მისადგომები ცეცხლს ძლივს „გამოსტაცეს“. ჩავატარეთ ექსპერიმენტი, ნამწვის გადაგდებით ტყეში ხანძარი „ვერ შევქმენით“, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხარისხისა და ფირმის ანთებული სიგარეტი საგანგებოდ ამორჩეულ ხმელ ფოთლებში ჩავდეთ.

ისმება კითხვა, ხომ არ არის ყველაფერი მიზნობრივად მოწყობილი? ხომ არ სურთ ტყეების იაფად ხელში ჩაგდება ხანძრის შემდეგ? ან უკვე ბევრი დანაშაულის შემდეგ კვალის დასაფარავად ხომ არ აალდა ტყეები?!

სამწუხაროდ, 5-6 ნოემბრის ფართომასშტაბიანმა ზემოიმერულმა ხანძარმა რესპუბლიკური მედია ვერ დააინტერესა. ერთ-ერთმა არხმა დილაადრიანად განაცხადა, რომ ჭიათურაში ხანძარი 2-3 ჰექტარზეა და ადვილად ამოიწურება პრობლემაო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი დღის განმავლობაში ხანძრის ადგილზე ვიმყოფებოდი და „საპიორნი ლაპატასაც“ მარაოსავით ვაქნევდი, არცერთ მედიასაშუალებას არ შეუწუხებია თავი და არ მოუმართავს ჩემსავით თავგამოდებული „მეხანძრეებისათვის“ სიტუაციის გასარკვევად. 112-ზე რამდენჯერმე დარეკვის მიუხედავად, 5 ნოემბერს არ ამოუკითხავს სამაშველო სამსახურებს. თავად 112 პირაქეთაც მიკავშირდებოდა, შსს სამინისტროს არაერთი წარმომადგენელიც, ოღონდ არ ვიცი, რატომ, ისინი თვლიდნენ, რომ სიტუაცია კონტროლზე იყო აყვანილი, ამ დროს კი ოციოდე ადამიანი ზედაპირულ ხანძარს წყლის გარეშე ვებრძოდით. ბიძინა გიორგობიანმა რამდენჯერმე დამირეკა, სიტუაციას გაეცნო, დანანებით თქვა, რომ სიცხიანი შინ იწვა, თორემ აუცილებლად ეწვეოდა იმერეთს. ჩემ მიერ გადაცემული ინფორმაცია 112-ისგან ხარაგაულს გადაეცემოდა, რადგან ხანძრის ძირითადი კერა ხარაგაულში იყო და ჭიათურის ტერიტორიისკენ ძლიერი ქარის გამო მოიწევდა. სხვათაშორის, ნაკლებად მეცალა კონფლიქტისათვის, თორემ იმ პოლიციელის აგდებულ ტონს, რომ ყველა მედიასაშუალება აცხადებდა ხანძრის ჩაქრობას და საიდან მომქონდა ყალბი საგანგაშო სიტუაციის პროგნოზი, მოეკითხებოდა სათანადოდ. თუმცა არ დავტოვე შანსი, არ „ჩამეკვეხებინა“ ჟურნალისტის სტატუსი საუბარში, რაც ტონის შეცვლის საფუძველი გახდა.

5 ნოემბერს ნიჩაბმომარჯვებული ბუზღუნით ველოდებოდით დამხმარე ძალებს. მიუხედავად იმისა, რომ ხარაგაულის ტერიტორია იყო ყველაზე დიდი რისკის ქვეშ, მაინც ჭიათურამ მოასწრო ზომების მიღება, რის გამოც კიდევ ერთხელ გამიჩნდა სურვილი, კარგი დამეწერა ჭიათურის ხელმძღვანელობაზე, რადგან: მთელი დღის განმავლობაში ჭიათურის გამგებლის მოადგილე, რომელსაც რამდენიმე დღის წინ აქვს გაკეთებული ოპერაცია, მაინც ჩვენს გვერდით იდგა; მანვე (თემურ ჭუმბურიძემ) გულწრფელად გადაუხადა მადლობა მოხალისე მეხანძრეებს; მაჟორიტარმა დეპუტატმა დარეკა და იკითხა, თუ რა შეიძლებოდა, გაეკეთებინა, როგორც დეპუტატს; მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პერიოდულად კითხულობდა სიტუაციის შესახებ; ჭიათურის სახანძრო-სამაშველო სამსახური ყველა სხვა მუნიციპალიტეტის იმავე სამსახურებთან შედარებით ადრე მოვიდა; ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები უწყვეტად იდგნენ ხალხის გვერდით; სამაშველო სამსახური ხარაგაულის მხრიდან ნაშუადღევს გამოცხადდა ადგილზე (13:11 სთ), ამის გამო ერთხელ კიდევ ვიკითხავ: არის თუ არა ეს სამსახურის ნაკლებად ეფექტურობა? ვინ ჩვენ და ვინ პასუხისმგებლობაო, იტყვიან, მაგრამ ეგებ ახლა ის მაინც გამოარკვიონ: რატომ ჩნდება ხანძარი თითქმის ყოველწლიურად ზემოიმერეთის ყველაზე ტყიან სოფელ გეზრულსა და მის მოსაზღვრედ? გარემოს დაცვაზე უკვე საუბარი აღარ ღირს, გარემოს დაცვა არა, უფრო გარემოს ტრანსფორმაცია და ექსპლოატაცია უფრო გვეხერხება. ამის გარდა, კიდევ იმასაც დავძენ, ასე თუ მოვხანძრეთ ჩვენი საუნჯე — ტყე, რაღა მივყიდოთ მერე „ვუდ“ კომპანიებს ჩალის ფასად? ჩვენდა იღბლად, ტყე ორდღიანი ხანძრის მიუხედავად, მაინცდამაინც არ დაზიანებულა. ხმელი ხეები, მორტმასა და ქვეტყე დაიწვა. ძირითადი ფიტომასა ისევ გამწვანდება გაზაფხულზე. მერე კი რომელიმე მდიდარი მეწარმე გადაწყვეტს ძვირფასმერქნიანი წაბლებისა და მუხების დასავლეთის ბაზარზე სარფიანად „გაშვებას“.

**როლანდ ხოჯანაშვილი**

# მთავარი პროკურორის ტვირთი

## არჩილ კბილაშვილი: „ჩემი თანამდებობაზე მოსვლა იყო ნაადრევი“

**მე-4** გვერდიდან

საია-ს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ მთავარი პროკურორის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ის რეალობა, რომელშიც მას თავისი ფუნქციის შესრულება მოუწია. იმ პერიოდში, როცა მან მუშაობა დაიწყო, პროკურატურის იმიჯი შელახული იყო და ადამიანები მას აღიქვამდნენ არა როგორც სამართალდამცავ, არამედ როგორც სამართალდამრღვევ ორგანოდ.

ყველაფერი ეს ახალ პროკურორს მძიმე ტვირთად დააწვა. კოჟორიძის განცხადებით, ასევე, იგრძნობოდა, რომ პროკურატურა შსს-ს გავლენის ქვეშ იყო.

„თუმცა, მისი ბევრი ქმედება კრიტიკას მაინც იმსახურებს. ხშირ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილებები არ იყო პრინციპული და შსს-ს გავლენის ქვეშ ექცეოდა. ასევე საზოგადოებას არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება ბევრ გახმაურებულ საქმეზე. მხოლოდ ვანო მერაბიშვილის პასუხისგებაში მიცემა კი არ არის ის რეაგირება, რომელიც სამართალდამცავმა ორგანოებმა 26 მაისის მოვლენებზე უნდა მოახდინონ,“ — მიიჩნევს **კახა კოჟორიძე.**

### პროკურატურა შსს-ს დანამატი შეიძლება გახდეს...

არჩილ კბილაშვილის განცხადების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის შემდეგ პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს, თავისი კანდიდატურა უკვე დაასახელა. ეს არის ოთარ ფარცხალაძე, რომელიც ამჟამად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსია. საპარლამენტო ოპოზიციის „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების განცხადებით კი ეს ნიშნავს, რომ პროკურატურა შინაგან საქმეთა სამინისტროს დანამატი იქნება და არა მაკონტროლებელი.

„რამდენიმე თვის წინ ირაკლი ღარიბაშვილმა კბილაშვილის მაკონტროლებლად, მის მოადგილედ გაბიტაშვილი დანიშნა. ამ მექანიზმმა ჯეროვნად ვერ იმუშავა და დღეს უკვე ფარცხალაძე, ღარიბაშვილის კადრი, მთავარ პროკურორად ინიშნება. ეს ერთადერთ რაღაცას ნიშნავს, რომ პროკურატურა, როგორც ბუნებით არის მაკონტროლებელი შს სამინისტროსი, ამ ფუნქციას ვეღარ შეასრულებს და ის გახდება უბრალოდ შს სამინისტროს დანამატი. ამ ტენდენციაზე, თუნდაც ის მიუთითებს, რომ ინფორმაცია ახალი მთავარი პროკურორის შესახებ შს მინისტრის პრესსამსახურმა გაავრცელა და არა იუსტიციის მინისტრმა, რაც ბუნებრივი იქნებოდა. ყველამ ვიცით ვინ არის ფარცხალაძე. ის ავტორია იმ გახმაურებული სპეცოპერაციისა, როდესაც საქართველოში იყო რასმუსენი, მას თბილისიდან წასვლაც არ აცალეს, საკრებულოს 22 წევრი და გამგებელი დაიჭირეს, ხურვალეთის ქუჩებში ასეირნეს, დაკითხვაზე მიიყვანეს, გამოუშვეს და მერე ისევ დაიჭირეს. ასე რომ, მის პოლიტიკურ ალღოზე, შეუძლია საზოგადოებამ თავად იმსჯელოს,“ — განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა **ირმა ნადირაშვილმა**.

როგორც უმცირესობის წარმომადგენელი სერგო რატიანი აცხადებს, „ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მერიის თანამშრომლების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები სამარცხვინო ფურცელი იყო“.

„ამ ადამიანმა თავი დაგვამახსოვრა მერიის თანამშრომლების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებებით. ეს იყო ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ყველაზე სამარცხვინო ფურცელი და არ უნდა გაგვიკვირდეს ის, რომ სწორედ მომავალი პრემიერის პოლიტიკური გემოვნება ამ ადამიანზე შეჩერდა,“ — განაცხადა **რატიანმა.**

ირაკლი ღარიბაშვილი კი საზოგადოებას ჰპირდება, რომ მომავალი მთავარი პროკურორი კარგი და ეფექტური იქნება, ამის შესახებ მოქმედმა შს მინისტრმა და მომავალმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს საგურამოში განუცხადა. მისი თქმით, ფარცხალაძეს ეყოლება ძალიან ეფექტური გუნდი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ახალგაზრდებით და გამოცდილი პროკურორებით.

**ცოტნე პაატაშვილი**

## ქვეყნის მასშტაბით გამოკითხულთა 39% მისი ოლქის მაჟორიტარ დეპუტატს არ იცნობს

**არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდამ“, 22 არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, საქართველოში არსებული მაჟორიტარის ბიუროების მუშაობის შეფასების მიზნით მასშტაბური კვლევა ჩაატარა.**

კვლევის შედეგები ორგანიზაციამ 8 ნოემბერს ქუთაისში წარმოადგინა.

კვლევის პირველ ეტაპზე გამოიკითხა ყველა რეგიონის სოფლის მცხოვრებლები. თითოეულ რეგიონში გამოიკითხა 150 ადამიანი. კვლევაში სულ 1496-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.

კითხვაზე, იცით თუ არა, ვინ არის თქვენი მაჟორიტარი დეპუტატი, 39% პასუხობს, რომ არ იცის. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი კი (52,6%) მხოლოდ წინასაარჩევნოდ შეხვედრია მის მაჟორიტარ დეპუტატს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ არჩევნების შემდეგ მაჟორიტარის ბიუროსთვის მხოლოდ 13,8%-ს მიუმართავს.

გამოკითხვის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 61%-მა საერთოდ არ იცის, სად მდებარეობს ბიურო. მათი 52% კი არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიმართოს საქართველოს პარლამენტში მისი რაიონის წარმომადგენელს.

კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა მაჟორიტარი ბიუროებისთვის სპეციალური კითხვარის გაგზავნას, რომელიც მათი პრაქტიკული საქმიანობის შესწავლას ისახავდა მიზნად.

„სიდას“ ორგანიზებით ჩატარებულ კვლევაში საქართველოს 63 ბიუროდან მონაწილეობა მხოლოდ 41-მა მიიღო. კვლევამ აჩვენა, რომ ბიუროებში საშუალოდ 5 ადამიანია დასაქმებული. საერთო მონაცემებით, გახსნის დღიდან ბიუროებს 30 533-მა ადამიანმა მიმართა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად მოსახლეობა სოციალურ დახმარებას ითხოვს. დასაქმება კი პრობლემათა ჩამონათვალში მეხუთე ადგილს იკავებს.

ორგანიზაციამ ბიუროების მედიასთან თანამშრომლობის ინტენსივობაც შეამოწმა. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ, ძირითადად, ადგილობრივ მედიასთან თანამშრომლობენ.

მასშტაბური კვლევის შედეგად ორგანიზაციამ კონკრეტული რეკომენდაციებიც შეიმუშავა. კერძოდ, ორგანიზაციის დირექტორის, ზვიად დევდარიანის თქმით, გამოიკვეთა ბიუროს თანამშრომელთა დაბალი კვალიფიკაცია და ამომრჩევლებთან კომუნიკაციის სიმცირე.

„სიდას“ რეკომენდაციით, პარლამენტის წევრებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ ბიუროებისა და, ზოგადად, მოსახლეობასთან ურთიერთობის მიმართულებით.

**მარიამ პატარაია**
psnews.ge



„P.S. ფოტო“ (მარიამ პატარაია) ©
ზვიად დევდარიანი

# დაიცავი შენი საკუთრება ჩვენი დახმარებით!

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად,
საკუთრების უფლება დაცული და ხელშეუვალია.
საკუთრება შეიძლება პირს ჩამოერთვას
მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში
(მაგალითად, მნიშვნელოვანი გზისა და რკინიგზის გაყვანა,
წყალმომარაგების მნიშვნელოვანი ხაზების გაყვანა,
საზოგადოებრივი საჭიროებისთვის აუცილებელი ობიექტის მშენებლობა და ა.შ.).

# გახსოვდეთ!

საკუთრების ჩამორთმევა, ნებისმიერ შემთხვევაში,
დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.
არც ერთ სხვა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს დამოუკიდებლად ამის უფლება არ აქვს. ასევე,
ძალიან მნიშვნელოვანია იცოდეთ,
რომ რა სახის საზოგადოებრივი აუცილებლობაც არ უნდა არსებობდეს, მესაკუთრეს უნდა მიეცეს ანაზღაურება
ჩამორთმეული ქონების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

# ყურადღება!

თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი უკანონოდ გიზღუდავთ საკუთრების უფლებას,
დაუსაბუთებლად გეუბნებიან უარს საკუთრების უფლების აღიარებაზე ან საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე,
ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გაქვთ რაიმე სამართლებრივი პრობლემა,
თუ მიგაჩნიათ, რომ რომელიმე პროექტის განხორციელების გამო, ზიანი ადგება
ან შესაძლოა ზიანი მიადგეს თქვენს საცხოვრებელ გარემოს,
გეზღუდებათ ან შესაძლოა შეგეზღუდოთ ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა,
ან გჭირდებათ დახმარება პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში, გთხოვთ,
დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**თბილისის ოფისი:**
ჯ.კახიძის ქ. №15;
საფოსტო ინდექსი 0102;
ტელ: + (995 32) 2936101/2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: **gyla@gyla.ge**
ვებ-გვერდი: **www.gyla.ge**

**თელავის ოფისი:**
ბარნოვის ქ.№10;
საფოსტო ინდექსი 2200;
ტელ: +(995 350)271371;
+(995 350)230745
ფაქსი: + (995 350)271371
ელ-ფოსტა: **telavi@gyla.ge**

**ქუთაისის ფილიალი:**
ნიუპორტის ქ. №5;
საფოსტო ინდექსი 4600;
ტელ: + (995 431) 241192/246523
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: **kutaisi@gyla.ge**

**გორის ოფისი:**
სტალინის ქ. №19/1;
საფოსტო ინდექსი 1400;
ტელ: +(995 370) 272646
ფაქსი: +(995 370) 279842
ელ-ფოსტა: **gori@gyla.ge**

**აჭარის ფილიალი:**
ბათუმი, გორგასლის ქ. №89;
საფოსტო ინდექსი 6000;
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: **batumi@gyla.ge**

**ოზურგეთის ოფისი:**
გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№ 25/10;
საფოსტო ინდექსი: 3500;
ტელ: +(995 496)273138;
ფაქსი +(995 496) 273138;
ელ-ფოსტა: **ozurgeti@gyla.ge**

**რუსთავის ოფისი:**
კოსტავას ქ.№ 15ა/5;
საფოსტო ინდექსი 3700;
ტელ: +(995 341) 255337
ფაქსი+(995 341) 240566
ელ-ფოსტა: **rustavi@gyla.ge**

**დუშეთის ოფისი:**
რუსთაველის ქ.№29;
საფოსტო ინდექსი 1810;
ტელეფონი: (+ 995 346) 221554;
ფაქსი: (+ 995 346) 221553;
ელ-ფოსტა: **dusheti@gyla.ge**

## საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო

**თბილისის ოფისი:**
ცხელი ხაზი: + (995 32) 260 15 08
ელ-ფოსტა: **alac@transparency.ge**
ვებ-გვერდი: **http://www.transparency.ge; http://www.propertyrights.ge**

**ბათუმის წარმომადგენლობა:**
ცხელი ხაზი: + (995 422) 29 44 88
ელ-ფოსტა: **alac@transparency.ge**

**ქუთაისის წარმომადგენლობა:**
ცხელი ხაზი: + (995 431) 29 26 54
ელ-ფოსტა: **alac@transparency.ge**

**ზუგდიდის წარმომადგენლობა:**
ცხელი ხაზი: + (995 415) 22 37 20
ელ-ფოსტა: **alac@transparency.ge**

## ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

**თბილისის ოფისი:**
თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29,
მე-2 სართული
ტელ: + (995 32) 29 27 73
ფაქსი: + (995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: **greenalt@greenalt.org**
ვებ-გვერდი: **www.greenalt.org**

Transparency International Georgia

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

**პროექტი ხორციელდება ფონდის "ღია საზოგადოება – საქართველო" ფინანსური მხარდაჭერით**

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

**საკუთრების დაცვის საკითხებზე ადგილობრივ მოქალაქეთა ინფორმირება და სამართლებრივი დახმარება მიმდინარეობს კოალიციური პროექტის "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში.
პროექტს ახორციელებენ: "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია",
"საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა,"
"საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია".**

### აპითერაპია - ფუტკრით მკურნალობა

დიპლომირებული ექიმი აპითერაპევტი **ელზა გიგაშვილი** მკურნალობს ფუტკრის კბენით და ფუტკრის ნატურალური პროდუქტებით შემდეგ დაავადებებს: სამწვერა ნერვის ანთება, რადიკულიტი, იშიაზი, ოსტეოხონდროზის გამწვავება, პოდაგრა (იგივე მარილები), ართრიტი, ართროზი, შაკიკი, სისხლძარღვების შევიწროვება, გაფანტული სკლეროზი, „პარკინსონი", პროსტატიტი, იმუნიტეტის დაქვეითება, ავიტამინოზი.

აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ ფუტკრის ნატურალური პროდუქცია და 21-ე საუკუნის ჯადოსნური „მეფური ჟელე" – ფუტკრის რძე.

**კონსულტაცია უფასოა.**

**მიღება** ყოველდღე 10 საათიდან 15 საათამდე. შაბათს – 9 საათიდან 12 საათამდე.

**ტელ.:** 598 35 26 63
790 35 26 63

### მილოცვა

**მანანა ვაშაკიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებას და ჯანმრთელობას შენს შვილთან ერთად.

გაზეთ „P.S."-ის რედაქცია

# 5 წლის ანრი ლობჟანიძეს სწორი მკურნალობის დასანიშნად 7 ათასი დოლარი ესაჭიროება

**ბოლო 6 თვეა, ანრი ლობჟანიძე არც ბაღში დადის და აღარც თანატოლებთან ერთობა. მძიმე ვირუსული ინფექციის გადატანის შემდეგ, მას იმუნიტეტი დაუქვეითდა და ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო დაუმძიმდა.**

5 წლის ანრიმ, რომელსაც უმძიმესი დიაგნოზი, სპინალური ამიოტროფია, ერთი წლის ასაკში დაუდგინეს, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. თუმცა, ვირუსული ინფექციის გამო, ძირითადი მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ, მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. ახლა მას სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილება აღარ შეუძლია.

ანრის ოჯახის წევრები, რომლებსაც მოზარდის პირველადი დიაგნოზის სიზუსტეში ეჭვი ეპარებათ, ამბობენ, რომ სწორი მკურნალობის ჩასატარებლად აუცილებელია, მას გამოკვლევები ჩაუტარდეს. სწორი დიაგნოზის დასასმელად საჭირო გამოკვლევები კი ანრის თურქეთში უნდა ჩაუტარდეს, რისთვისაც 7 ათასი დოლარია საჭირო. ოჯახს შესაბამისი სახსრები არ გააჩნია და დახმარებისთვის საზოგადოებას მიმართავს.



ანრი ლობჟანიძე

„საქართველოში, სადაც პოლისით შემიძლია დავაფინანსო ანრის გამოკვლევები, ამის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მისი ნევროპათოლოგი უარს ამბობს კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარებაზე. მას მიაჩნია, რომ ამით ბავშვი დიდ დასხივებას მიიღებს, რაც მისი ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ამასთანავე, ექიმი მარწმუნებს, რომ ამით არაფერი შეიცვლება და გამოკვლევების ჩატარებას აზრი არ აქვს, მაგრამ მე ვხედავდი, როგორ გამომჯობინდა ჩემი შვილი მკურნალობის შემდეგ, ამიტომ მიჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ ანრის დიაგნოზი არასწორად დაისვა და შეიძლება მისი ფეხზე დაყენება. მივმართავ ყველას, ვისაც შეუძლია დამეხმაროს, რომ გავიგო, რა სჭირს ჩემს შვილს და ვიცოდე, როგორ ვუმკურნალო," — ამბობს ანრის დედა **მარიამ მაღლაფერიძე.**

ანრი ლობჟანიძე, რომელიც მის ასაკთან შედარებით განსაკუთრებული გონებამახვილობით გამოირჩევა, მდგომარეობის გართულების გამო ადამიანებთან ურთიერთობას გაურბის და ამბობს, რომ არ მოსწონს, როცა გაკვირვებული უყურებენ.

**ანრი ლობჟანიძის დასახმარებლად ანგარიში გახსნილია TBC ბანკში:**

ლარის ანგარიში:
**GE38TB7007692365100004**

დოლარის ანგარიში:
**GE85TB7007692366100004**

ევროს ანგარიში:
**GE15TB7007692366100003**

**რედაქცია გთხოვთ, რომ გამოიჩინოთ გულისხმიერება და დაეხმაროთ ანრის!**

**მარიამ პატარაია**

### საყოველთაო ჯანდაცვის მესამე ეტაპი წლის ბოლომდე ამოქმედდება

ამის შესახებ ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა. მისი თქმით, მესამე ეტაპი პაკეტის გაფართოებას არ გულისხმობს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი სადაზღვევო პაკეტის გაფართოებას გადაწყვეტს, სადაზღვევო კომპანიების მომსახურებით უნდა ისარგებლოს.

მესამე ეტაპის ფარგლებში საყოველთაო დაზღვევის ხარისხი გაუმჯობესდება და პაკეტში შემავალი სერვისები ეტაპობრივად გადაიხედება, თუმცა, მომსახურებების დამატება არ მოხდება. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე თვის წინ განცხადება გააკეთა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ. მისი თქმით, მესამე ეტაპი პირობითი ცნებაა, სამინისტრო პროექტის ფინანსურ, ადმინისტრაციულ და ხარისხის გადაფასებას პერიოდულად ახდენს და სწორედ მსგავს გადაფასებას გულისხმობს ე.წ. მესამე ეტაპი. „სამ-ოთხ თვეში ერთხელ ჩვენ მსგავს გადაფასებას ვახდენთ ხოლმე, სწორედ სექტემბერში ან ოქტომბერში დავიწყებთ ამ პროცესს. ვიმსჯელებთ პროექტის შემდგომი განხორციელების მასშტაბებზე, ვთქვათ დავტოვოთ იგივე მოცულობით, თუ წავიდეთ გაზრდისკენ. ეს არის ეტაპობრივი მენეჯერული სამუშაო და არა დაგეგმილი გაფართოება," — აცხადებდა სერგეენკო მიმდინარე წლის ივლისში.

commersant.ge

# უფასო განცხადებები

## გაზეთი „P.S."(„პოსტსკრიპტუმი") გაცნობებთ

**თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ჩვენი ახალი სერვისით - მცირე განცხადებების გამოქვეყნება უფასო განცხადების ტალონით!**
**ამ მომსახურების მისაღებად საკმარისია, გაზეთიდან ამოჭრათ სპეციალური ტალონი, დაწეროთ თქვენთვის სასურველი განცხადებისა თუ მილოცვის ტექსტი და მოგვაწოდოთ რედაქციაში (მისამართი: რუსთაველის 37 ა), ან დატოვოთ „პოპულში" მდებარე წიგნების მაღაზია „ქიმერიონში" ყოველი კვირის ხუთშაბათამდე (მისამართი: რუსთაველის 141).**
**ძვირფასო მკითხველო! შეგახსენებთ ასევე, რომ თქვენ შეგიძლიათ გაზეთი „პოსტსკრიპტუმი" გამოიწეროთ და ბინაზე ან ოფისში მიიღოთ, ფასნამატის გარეშე, ან შეიძინოთ ქუთაისის ყველა საგაზეთო ჯიხურში და მარკეტში, მათ შორის „პოპულში"!**
**გაზეთის გამოწერისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 24 45 46, 599 17 70 39.**

### იყიდება

- იყიდება 500 კვ.მ. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილით, ვენახით და სხვა.
**მისამართი:** თერჯოლის რაიონი, სოფელი ჭოგნარი, ქუთაისიდან 3 კილომეტრში.
**ტელეფონი:** 599 43 40 40

**იყიდება** ოროთახიანი გარემონტებული ბინა.
**მისამართი:** ბუხაიძის ქ. №22, მე-5 სართული.
**ტელ.:** 595 28 44 25; 25 77 09

- იყიდება 4-განყოფილებიანი რუსული მაცივარი ქუთაისში, რომელიც მუშაობს 0 გრადუს ტემპერატურაზე. ახალი გადაღებილი ნორმალურ მდგომარეობაში, დაზიანებული აქვს მხოლოდ მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილი კოროზიით. გასაყიდი ფასი 350 ლარი.
**ტელეფონი:** 558 76 93 46

- **სასწრაფოდ ვყიდი** 500-დან 1000 კმ -მდე მიწის ნაკვეთს სამოსახლოდ.
**მისამართი:** მახინჯაური, სათნოების ჩიხი 2, ბინა 9.
**აღწერილობა:**
მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 300 მეტრში, აქვს მისასვლელი გზა, სასმელი წყაროს წყალი, ზღვის ხედი.
**ფასი:** 500 კვმ — 25 000 აშშ დოლარი.
დამატებითი ინფორმაციისთვის დამიკავშირდით:
**მობ.**: 557 37 88 70

სასწრაფოდ იყიდება! 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ქუთაისის შესასვლელში. **ფასი:** 1კვ.მ – 2 ლარი
**ტელ.:** 431 25 53 12

- იყიდება 300 ცალი ცეცხლგამძლე აგური ქუთაისში. 1ცალი — 1 ლარი.
**ტელეფონი:** 599 07 40 47

### უძრავი ქონება

- **გირავდება ან ქირავდება!** 26 კვ.მ. რუსთაველის 71-ში გირავდება ან ქირავდება.
ფასი: 10000 $
**ტელ.:** 577 92 19 02. **ნანა**

- **ქირავდება** ერთოთახიანი ბინა ქუთაისში ზვიად გამსახურდიას გამზირ №27/20 (სამტრედიის ხიდთან, ყოფილი გორის ქუჩა), VII სართული, ავეჯით, რემონტით, ტელეფონით, ლიფტით.
**ტელ.:** 26 44 08;
593 12 80 54 (ნანა)

**გირავდება** ორსართულიანი სახლის პირველი სართული (იზოლირებული), კეთილმოწყობილი, ყველანაირი კომფორტით. შესაძლებელია, გამოიყენოთ საოფისედ. ფართი მდებარეობს გზის პირზე.
**მისამართი:**
ქუთაისი, ნინოშვილის ქ. №183ა.
**ტელეფონი:**
27 32 27; 599 92 92 49 (გია).
ფასი 10 000$

- **ქირავდება!** 2-ოთახიანი. ქალაქური პრ. 3(9), 80 კვ.მ. გარემონტებული მ/წყალი, რკინის კარი, ავეჯით, ღია აივნებით.
**მისასამართი:** ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15, III კვ. I სად. (სასტუმრო „საქართველოს" თავზე). **ფასი:** 350 ლარი
**ტელ.:** 595 58 40 64; 492 25 25 84. **ლიანა**

### სხვადასხვა

- ვყიდი 100% ნატურალურ წაბლის თაფლს ქუთაისში, მაქვს ლაბორატორიული დამოწმებაც.
**ტელეფონი:** 598 11 30 70

### მოვამზადებ

- მოვამზადებ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს ინგლისურ ენაში, ასევე უფროსი ასაკის ნებისმიერ მსურველს. აბიტურიენტებს — ინგლისური ენის ჩაბარების 100%-იანი გარანტიით.
**ტელ.**: 26 30 77
**მისამართი:** თაბუკაშვილის 28/4

- მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში, უნარებსა და ფიზიკაში.
**ტელ.:** 555 3182 69

- **ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას.**
CELTA -ს მიერ სერთიფიცირებული ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას მაღალ დონეზე. მეცადინეობები ჩატარდება 3-4 კაციან ჯგუფებში. მეცადინეობებს დაეთმობა ერთი საათი, კვირაში 4 დღე. ერთი თვე — 80 ლარი.
**ტელ.:** 557 26 08 43

**მისამართი:** ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №37. მესამე სადარბაზო, მესამე სართული.

### ვაკანსია

გაზეთი „P.S." („პოსტსკრიპტუმი") აცხადებს ვაკანსიას **სარეკლამო აგენტის** თანამდებობაზე, მაღალი პროცენტული ანაზღაურებით.
**ტელ.:** 24 45 46,
599 107794

**ყურადღება!**
**ვაკანსია ქუთაისში!**

ქალაქის ცენტრში იხსნება ახალი საინტერესო კაფე. გვესაჭიროება მიმტანები (3 ვაკანსია), ბარმენი (1 ვაკანსია) ახალგაზრდა, ენერგიული, სიმპატიური, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხი. (უცხო ენის ცოდნა სავალდებულოა). ასევე ცვლის მენეჯერი (1 ვაკანსია) და მზარეული. დამირეკეთ 579 90 61 15. გისურვებთ წარმატებებს.

## უფასო განცხადების ტალონი

(განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში)

**უფასო განცხადების ტალონი** ამოჭერით ტალონი, ჩაწერეთ შიგ თქვენი განცხადების ტექსტი, არაუმეტეს 20 სიტყვისა, მოგვაწოდეთ რედაქციაში მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 37ა. ან დატოვეთ წიგნების მაღაზია „ქიმერიონში" მისამართზე: ქუთასი, რუსთაველის გამზირი №141 („პოპული").

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** შეიძლება წარმატებულად გამოიყენოთ სიტუაცია კარიერაში და ფინანსურ ოპერაციებში. მშობლებთან პრობლემები გექნებათ.

**კურო:** გექნებათ შესაძლებლობა, მადლიერების გრძნობა გამოხატოთ მათ მიმართ, ვინც კეთილია თქვენს მიმართ. ახალი საქმიანი კავშირების დამყარებას შეძლებთ, ახალი გარიგება სარფიანი აღმოჩნდება.

**ტყუპები:** არასახარბიელო დროა იურიდიული საქმეების მოსაგვარებლად. სამსახურში მცირე პრობლემებია მოსალოდნელი, ყურადღებით იყავით, შესაძლებელია, თქვენი მოტყუება სცადონ.

**კირჩხიბი:** კარგი იქნება რჩევას ან კონსულტაციას თუ სთხოვთ ახლობელ ადამიანებს. შეეცადეთ, არ გაამჟღავნოთ საქმის ყველა დეტალი. შეინარჩუნეთ სიმშვიდე, ნუ აჩქარდებით ქმედებებში.

**ლომი:** ნუ შეეცდებით აუცილებლად საკუთარი აზრი გაიტანოთ, ეს სასურველ შედეგს არ მოიტანს. უმჯობესია, საყვარელი სამუშაოთი დატკბეთ.

**ქალწული:** ყველაფერი წარმავალია, ასე რომ, ეს პრობლემებიც გაივლის. მთავარია, საკუთარი თავის რწმენა შეინარჩუნოთ. საქმიანი პროექტების რეალიზებაში ნუ აჩქარდებით, ამის დროც მოვა.

**სასწორი:** თუ სამსახურში დარწმუნებული ხართ, რომ გადაუდებელი საქმეები გაქვთ, აუცილებლად მოაგვარეთ, ნუ გადადებთ მათ.

**მორიელი:** ბოლო პერიოდში თქვენს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები დადებით მუხტს და ჰარმონიას მოგიტანთ როგორც ოჯახურ, ისე პირად ურთიერთობებში. ენერგია, რომლითაც დაიმუხტებით, არა მარტო თქვენზე, გარშემომყოფებზეც დადებითად იმოქმედებს.

**მშვილდოსანი:** მიზანსწრაფულობა კარგი თვისებაა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზუსტად იცით რას აკეთებთ და რა შედეგს მოიტანს თქვენი ქმედება. დაგეგმილ ქმედებებს ნუ გადაუხვევთ, წინასწარ დაუგეგმავი ნაბიჯები სიკეთეს არ მოუტანენ თქვენს საქმიანობას.

**თხის რქა:** სასიამოვნო ცნობებს მიიღებთ. პირადი საქმეები დღედღეზე მოგიგვარდებათ. მოუსმინეთ ოჯახის წევრების აზრს, მათი რჩევები სამომავლოდ დაგეხმარებათ.

**მერწყული:** მიუხედავად იმისა, რომ თავგადასავლები მოგენატრათ და დაგღალათ ერთფეროვნებამ, სამწუხაროდ, მხოლოდ დაძაბული მუშაობა მოგიწევთ. შეეცადეთ, მნიშვნელოვანი საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას ინტუიციას ენდოთ.

**თევზები:** სამსახურში შესაძლებელია მცირე გაუგებრობები, თუმცა, თუ ყველაფერს თანმიმდევრულად მიჰყვებით, პრობლემები მოგვარდება.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. ათეიზმი; 5. მაისი; 6. სპა; 8. თან; 9. მაინა; 11. ატლანტა.
**შვეულად:** 1. მერსი; 2. მზე; 3. აბაზანა; 4. იაპონია; 7. რაინი; 10. ოლე.



## ბოლივუდის ახალი სექს-სიმბოლო — „ახალგაზრდა სოფი ლორენი"

31 წლის ინდოელი მსახიობი და მომღერალი სექსუალური **პრიანკა ჩოპრა** კინოსამყაროს იპყრობს. „მის სამყარო - 2000" ჰოლივუდის რეჟისორებმა შენიშნეს. ის პირველი ინდოელი ქალია, რომელიც პოპულარული ბრენდის, Guess-ის სახე გახდა. ბრენდის კრეატიულმა დირექტორმა პრიანკა სექსუალურ ფოტოსესიაშიც გადაიღო. ფოტოებში ჩოპრა შესანიშნავად გამოიყურება. ცნობილმა დიზაინერმა პოლ მარჩიანომ პრიანკას „ახალგაზრდა სოფი ლორენი" უწოდა.

პრიანკა ჩოპრა ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ოთხჯერ დააჯილდოეს. ის პოპულარულია ჰოლივუდშიც.

**პრიანკა ჩოპრა:** „ჩემი ცხოვრება ზღაპარს ჰგავს. უნივერსიტეტში, საინჟინრო ფაკულტეტზე ვსწავლობდი, როცა გავხდი „მის ინდოეთი" და შემდეგ „მის მსოფლიო"... ამის შემდეგ რეჟისორებიც დაინტერესდნენ ჩემით. მიუხედავად იმისა, რომ სამსახიობო გამოცდილება არ მქონდა, დავთანხმდი, რადგან ძალიან მიყვარს კინო... ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გოგონა ლამაზი მაშინაა, როდესაც ქალურია. ზოგჯერ ქალებს გაცნობიერება უჭირთ, რომ ლამაზი გამხდარს არ ნიშნავს. მრგვალი ფორმები საუკეთესოა..."

ambebi.ge





## ქალების გულთამპყრობელი 8 იტალიელი მსახიობი კაცი

მსოფლიოში ყველაზე სიმპათიურ და სექსუალურ მამაკაცებად ქალები თითქმის ყოველ წელს იტალიელ კაცებს ასახელებენ. გასაკვირი არაა, რომ მიმზიდველი მამაკაცი მოდელები, მსახიობები თუ ტელეწამყვანები იტალიელები არიან.

ფოტოგალერეაში წარმოდგენილი მსახიობები ქართველი მაყურებლისთვისაც ცნობილია — მათ საზოგადოებისთვის არაერთი საინტერესო სახე შექმნეს.



ალესანდრო კასი



ალექს ბელი



ფლავიო მონტრუჩიო



გაბრიელ გარკო



ჯულიო ბერუტო



რაფაელო ბალზო



რაულ ბოვა



რიკარდო სკამარჩო



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

## ვინ არის ფოტოზე?



### პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით ნარმანია სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

## რას დაარქმევდით?



თეა წულუკიანი

დაგვიკავშირდით:

- (0 431) 24-45-46, 24-82-25.
- psnews27@gmail.com

### პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



გიგი უგულავა და მიხეილ სააკაშვილი

მაკკეინის ფეხის ლოკვით გალეშილი პოლიტიკოსები.

**შაქრო გაბელაშვილი**

## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 3. ჩირქის დაგროვება სხეულის რომელიმე ადგილზე; 5. ჰიგიენური დაწესებულება; 6. ანტილოპას სახეობა; 8. შეძახილი ვირისადმი; 9. მიმართვა ქალისადმი საფრანგეთში; 11. უბრწყინვალესი ვარსკვლავი არწივის თანავარსკვლავედში.

**ვერტიკალურად:** 1. სათამაშოდ ჩადებული თანხა; 2. რუმინული ფული ევრომდე; 3. პატივმოყვარეობა; 4. ზამთრის თვე; 7. ფრანგი მომღერალი მირეი ...; 10. ფრანგი ფიზიკოსი ალექს ტერეზ...

